



## სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150  
0112 თბილისი, საქართველო  
+995 32 2439503 / +995 32 2439510  
info@nea.gov.ge  
nea.gov.ge

11 ივნისი 2026



N 21/8219

შპს „ლიბრა ავტო“-ს  
ელ. ფოსტა: [libra1avto@gmail.com](mailto:libra1avto@gmail.com)

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ (შემდგომ – სააგენტო) განიხილა თქვენი №7400 წერილით წარმოდგენილი საქმიანობის – ე.წ „ADBLUE“-ს სითხის დამამზადებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება და გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ დოკუმენტში სრულად არ არის გათვალისწინებული სააგენტოს 2026 წლის 4 მაისის №21/6039 წერილში მითითებული საკითხები, კერძოდ:

ა) სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ საწარმოს მოწყობა გათვალისწინებულია 27.06.52.399 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობაში, ხოლო shp-ფაილში ასახული მიწის ნაკვეთი და სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი GPS კოორდინატები სრულად არ მოიცავს 27.06.52.399 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს, რაც დაზუსტებას საჭიროებს. ამასთან, shp-ფაილში მოცემული უნდა იყოს საწარმოს განთავსებისათვის განკუთვნილი შენობა, ხოლო სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშნული შენობის განთავსების GPS კოორდინატები.

ბ) საწარმოში გათვალისწინებული ქიმიური პროდუქტის საცავ(ებ)თან დაკავშირებით წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია (ქიმიური პროდუქტის საცავის მოცულობა (მ<sup>3</sup>-ში), ქიმიური პროდუქტის საცავის აღწერა, ქიმიური პროდუქტის საცავში განთავსების პირობები, ავარიულად დაღვრილი სითხის მართვის საკითხები და სხვა). ამასთან, აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას საწარმოში დასამზადებელი ე.წ „ADBLUE“-ს სითხის მაქსიმალური წლიური რაოდენობის გათვალისწინებით.

გ) სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნას ე.წ „ADBLUE“-ს სითხის წარმოების პროცესში წლის განმავლობაში გამოსაყენებელი ნედლეულის რაოდენობები, საწარმოს წლიური მაქსიმალური წარმადობის გათვალისწინებით. ამასთან, დოკუმენტში ასევე მოცემული უნდა იყოს საწარმოში ნედლეულის შეტანის და მზა პროდუქციის საწარმოდან გატანის შესახებ დეტალური ინფორმაცია.

დ) სკრინინგის განცხადების მიხედვით, სარეალიზაციო ტარის გამორეცხვის შედეგად წარმოქმნილი ჩამდინარე წყალი დაგროვდება პლასტმასის კასრებში და მათი გამოყენება მოხდება ტექნოლოგიურ პროცესში. დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს სრული ინფორმაცია სარეალიზაციო ტარის გამორეცხვის შედეგად წარმოქმნილი ნარეცხი წყლის დასაგროვებლად და საწარმოო ციკლში ხელახლა გამოსაყენებლად განკუთვნილი ინფრასტრუქტურის შესახებ (განთავსების ადგილი და განთავსების პირობები, ავარიულად დაღვრის საკითხის გათვალისწინებით).

ე) სკრინინგის განცხადების მე-4 თავში მითითებულია, რომ ე.წ „ADBLUE“-ს სითხის დამზადების ტექნოლოგიური პროცესი ითვალისწინებს წყლის დეიონიზაციას. ამასთან, მე-8 თავში მითითებულია, რომ საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ხმაურის გავრცელების ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს სატუმბო სისტემა. სკრინინგის განცხადებაში არ არის განხილული წყლის დეიონიზაციისთვის განკუთვნილი დანადგარი, ასევე ტექნოლოგიური პროცესის აღწერის თავში არ არის განხილული სატუმბო სისტემა და არ არის დაზუსტებული მისი ფუნქციური დანიშნულება. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში სრულყოფილად უნდა იყოს წარმოდგენილი ე.წ „ADBLUE“-ს სითხის დამამზადებელ ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული ყველა დანადგარის დახასიათება.

ვ) სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული ინფორმაცია ნარჩენებისა და მათი მართვის საკითხების შესახებ. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იყოს სრული ინფორმაცია საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ნარჩენების მართვის შესახებ (კოდები, დასახელება, რაოდენობა და შემდგომი მართვის ღონისძიებები).

ზ) სკრინინგის განცხადების თანახმად, უახლოესი საცხოვრებელი სახლი საწარმოს შენობიდან 50 მეტრით არის დაშორებული, თუმცა მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ გენგემაზე მითითებული საცხოვრებელი სახლი საწარმოს შენობიდან დაშორებულია დაახლოებით 30 მეტრით. ამასთან, დაზუსტებას საჭიროებს საწარმოს შენობის აღმოსავლეთით და სამხრეთით, დაახლოებით 20 მეტრის დაშორებით არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 202.27.06.52.026.007; 202.27.06.52.026.021) განთავსებული შენობა-ნაგებობების ფუნქციური დანიშნულება.

თ) სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ „საწარმოს ჰაერდამაბინძურებელი წყაროები არ გააჩნია იმდენად, რამდენადაც საწარმოს ტექნოლოგიური ციკლის მიხედვით ჰაერდამაბინძურებელი მავნე ნივთიერებები არ წარმოიშობა“. სკრინინგის განცხადებაში აღწერილი ე.წ „ADBLUE“-ს სითხის დამამზადებელი ტექნოლოგიური პროცესის გათვალისწინებით, წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი დასაბუთება.

ი) სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე, უარესი სცენარის გათვალისწინებით, უახლოეს დასახლებულ პუნქტთან მოსალოდნელი ხმაურის დონე შეადგენს 19,4 დბა-ს. აღნიშნული შეფასება გაკეთებულია შესაბამისის გაანგარიშების გარეშე. აღნიშნულიდან გამომდინარე სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ხმაურის გავრცელების გაანგარიშება, რომელიც უნდა შესრულდეს უახლოეს საცხოვრებელ სახლთან დაშორების დაზუსტებული მანძილისა და საწარმოს შენობის აღმოსავლეთით და სამხრეთით დაახლოებით 20 მეტრის დაშორებით არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 202.27.06.52.026.007; 202.27.06.52.026.021) განთავსებული შენობა-ნაგებობების დაზუსტებული ფუნქციური დანიშნულების გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მითითებული საკითხების დაზუსტებამდე, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის 5<sup>1</sup> ნაწილის საფუძველზე, სააგენტო წყვეტს თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაზე ადმინისტრაციულ წარმოებას.

ელენე ლუბიანური



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/8219-21-2-202606111047>

